საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

I წელი

# კომუნისტი

ხუთშაბათი, 12 აგვისტო 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 15 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 15

«იმდენათ, რამდენათაც მოისპობა ერთი პიროვნების მიერ მეორის გაულეფა, იმდენათვე მოისპობა ერთი ნაციის მიერ მეორის გაულეფა.

კლასთა წინააღმდეგობის დაცემასთან ერთათ ნაციის შიგნით დაეცემა ეროვნებათა მტრული დამოკიდებულება ერთმანეთისადმი.

**მარქს-ენგელსი.** „კომუნისტური მანიფესტი“, გვ. 43.

## „ხალხთა ლიგა“ თუ მცველი ნაგაზი?

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყოველი მთავრობა გაბატონებულ კლასის უბრალო აღმასრულებელი კომიტეტია. მონარქიულ-კონსტიტუციონური მმართველობაა ამა თუ იმ ქვეყანაში, პარლამენტარულ-რესპუბლიკანური თუ დემოკრატიული-სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება კლასთა ურთიერთობის, ე. ი. კლასთა ურთიერთ ბრძოლის ანარეკლი გამოხატულება, მაშასადამე გაბატონებულ კლასის თუ კლასების ინტერესების დაცვას ემსახურება, და დემოკრატიულში ეს სამსახური კიდევ უფრო აშკარა და დაუჩრდილავია. ეს მოიტანა თან კაპიტალიზმის განვითარებამ, ფეოდალიზმის და აბსოლიუტიზმის ტახტების დამგრეველ რევოლიუციონურ ბურჟუაზიამ, რომელმაც სხვათა შორის შექმნა ყველგან ნაციონალური სახელმწიფო—ე. ი. ამა და ამ ქვეყნის ბურჟუაზიის დამოუკიდებელი და განუყოფელი საბრძანებელი. მე-19-ე საუკუნე ასეთი „სამშობლოების“ და ნაციონალურ სახელმწიფოების აღორძინების საუკუნე იყო—განვითარებული კაპიტალი კორონავდა თავის ბრძოლით წილხდომილ სახრავ ასპარეზს და პირდაპირ თუ არაპირდაპირ თავის კაცებს, თავის აღმასრულებელ კომიტეტს აყენებდა მართვა-გამგეობის სათავეში მთავრობის სახით. ამ უკანასკნელის უმთავრესი დანიშნულება იყო კაპიტალის ინტერესების ყოველმხრივი დაცვა შიგნით და გარეთ, შინაურ და გარეშე მტრებისაგან. საგარეო და საშინაო პოლიტიკა ამ ორ ღერძზე ტრიალებდენ მე19 საუკუნეში ყველა ევროპიული სახელმწიფოები და მათი მატრიალებელი კი იყო მხოლოდ და მარტო კაპიტალისტური კლასის ინტერესი, რომელიც ზოგან ეროვნული ინტერესის, ზოგან სხვა რამ წამოსასხამით გამოდიოდა და გამათავისუფლებელ ომებს აწარმოებდა. მაგრამ მე-20-ე საუკუნეში კაპიტალიზმი იცვლის ფერს და ბუნებასაც, ის იმ ზომ გაიზარდა, რომ ვეღარ დაეტია ეროვნულ სახელმწიფოს ფარგლებში, ფინანსიური კაპიტალის სახით ის მოედვა მთელს დედამიწას, მზგავსად ეკონომიური ბუმბერაზ გაერთიანებების—ტრესტების, კარტელების, სინდიკატების სახით,—მან იწყო პოლიტიკური და სამხედრო ტრესტების მოწყობა კოლონიების დასაპყრობათ, სამეურნეო ტერიტორიის უკიდურეს გასაფართოებლად, წვრილ ერთა დასათრგუნავად, მსოფლიო პროლეტარიატის დასამორჩილებლად,ე. ი. იწყო იმპერიალიზმის გაჩაღება, რომელიც იგივე კაპიტალიზმია, მარა უაღრესად, უმწვერვალესად განვითარებული კაპიტალიზმი, რომელსაც წინ სავალი აღარ აქვს, რომელიც ამიტომ იხწრნება ერთ დონეზე გაჩერებული თუ არ დაიძრა ადგილიდან და არ გადაეშვა თავის უარისმყოფელ სფეროში—სოციალიზმში. და აი, თუ წინათ ეროვნულ ბურჟუაზიასა და მის სახელმწიფოს ყოფნიდათ ეროვნული მთავრობა, დღეს იმპერიალიზმისა და ფინანსიური კაპიტალის ბატონობის ხანაში ეს საკმარისი აღარ არის დრო-მოჭმულ ბურჟუაზიისათვის. მის იმპერიალისტურ და რეაქციონურ საქმეების სადარაჯოთ საჭიროა ისეთი „მთავრობა“, რომელიც აღმასრულებელი კომიტეტი იქნება და გაერთიანებულ დიდმპყრობელ სახელმწიფოთა ტრესტის. ასეთი კომიტეტი შექმნეს იმპერიალისტურ ომში გამარჯვებულ ანტანტის სახელმწიფოებმა და მას, ხალხების თვალის-ასახმელად, „ხალხთა ლიგა“ დაარქვეს. იმპერიალისტურ ბურჟუაზიის მცველი ნაგაზი უნდა იყოს ეს დაწესებულება, მაგრამ ვინაიდან ჯერ მას შესაფერი ეშვები და ბასრი კბილები არ ამოსვლია, ის ფინიობას ეწევა ჯერ საზავო კონფერენციის დ შემდეგ ელჩების და მინისტრების მიტინგების შორი-ახლო, მათ დავალებას ასრულებს სიტყვა შეუბრუნებლათ, თავდაბლათ და მორჩილად. საბჭოთა ვენგრიის განადგურების დროს ეს დაწესებულება ჩუმათ იყო, პირში წყალდაგუბებული იდგა, როცა მისი წევრი პოლონეთი ანტანტის წაქეზებით და ყოველგვარ დახმარებით რუსეთის მუშებს და გლეხებს გასასრესათ თავს ესხმოდა, ხოლო შეწრიალდა და საქმეში ჩარევა განიზრახა, როცა რევოლიუციონურმა რუსეთმა თავდამსხმელები უკუაგდო და პირიქით შეავიწროვა. რუსეთში საანკეტო კომისიის გაგზავნის განზრახვით და სპარსეთში დამპყრობელ ინგლისელების გამოქომაგებით „ხალხთა ლიგამ“ საკმაოდ გამოამჟღავნა თვით მორწმუნეთათვის, თუ რა „ხალხის“ ხროვაა ეს პირმშო შვილი გამგელებულ იმპერიალისტებისა. ახლა მისი საბჭო მორიგ სხდომაზე იკრიბება, მორიგ პირმოთნეობის ნიმუშების გამოსამუშავებლათ და ანტანტის ყაჩაღობის და ძალადობის დასადასტურებლათ. მარა ის განწირულია, როგორც განწირულია მისი მომვლინებელი გახრწნილი ღმმაკვდავი ბურჟუაზიული ქვეყანა და მასთან ერთად ის გაიზიარებს ისტორიის საყასბოზე გაგდებას და უსახელო სიკვდილს. „ხალხთა ლიგა“-ს ადგილს დაიკავებს ნამდვილი ხალხთა ლიგა, ე. ი. მსოფლიოს მშრომელთა ლიგა, საბჭოებში გაერთიანებული მსოფლიო პროლეტარიატი და ნახევრად პროლეტარიატი.

## რისთვის გვდევნიან

საქართველოს მთავრობას მმართველი პარტია სოციალისტურ და მუშათა მთავრობათ ნათლავს. წინათ უფრო სხვა ეპიტეტები გვესმოდა, სახელდობრ: დემოკრატიული რესპუბლიკა, დემოკრატიული წყობილება, დემოკრატიული მთავრობა. მარა მას შემდეგ, რაც დემოკრატიზმს აშკარათ გაუარშიყდენ ლოიდ ჯორჯ-კლემანსო-ვილსონები და მით შებღალეს მისი პრესტიჟი, ჩვენმა მართველებმა, სხვა გარემოებათა გავლენის დამატებით, მოუხშირეს საქართველოს სოციალისტურ და მუშათა მთავრობის ქება-დიდებას.

აქ ჩვენს მიზანს არ შეადგენს დაწვრილებით გამოვააშკარავოთ ამ ცნებათა სრული შეუსაბამობა სინამდვილესთან. ამისათვის საჭიროა საქართველოს ეკონომიკის ანალიზი, სხვა და სხვა კლასთა ეკონომიური როლის და მნიშვნელობის გაშუქება, მთავრობის გადასახადთა სისტემის გამოკვლევა, სხვა და სხვა სფეროში წარმოებულ პოლიტიკის საერთო ხაზის და ტენდენციის გამონახვა და სხ. და სხ., რომ ობიექტიური დაბეჯითებით ცხადვყოთ ამ მთავრობის ჭეშმარიტი კლასობრივი სახე და არსება.

ამ ჟამათ ჩვენ ამავე მიზნის მისაღწევად დავკმაყოფილდებით მხოლოდ მით, რომ გავითვალისწინებთ მთავრობის საშინაო პოლიტიკას, რომელიც ყველასათვის ადვილი დასანახია, ხოლო ჩვენი წევრებისათვის ხომ მეტათ საგრძნობიც არის.

ამ პოლიტიკის გამტარებელი არის შინაგან საქმეთა სამინისტრო. სხვა პარტიებთან ბრძოლა, მათი დათრგუნვა, მათი იერიშების მოგერიება ამ უწყების შემწეობით ხდება. სრულიად ბუნებრივია, როცა გაბატონებული პარტია ამ აპარატს ამაგრებს და მით თავის ბატონობას უზრუნველყოფს.

ვის წინააღმდეგ არის მიმართული საერთოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეპრესიული აპარატი? იმ კლასებისა და პარტიების წინააღმდეგ, რომელნიც, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების დაბალ საფეხურზე მდგომნი, ზევით მიისწრაფვიან და საბოლოვოთ ცდილობენ პოლიტიკური ძალა-უფლება მოიპოვონ.

ახლა ვიკითხოთ, როგორ არის ამ მხრით საქმე საქართველოში? რომელ პარტიას ატყდება უმთავრესად შინაგან საქმეთა სამინისტროს რისხვა? საკმარისია გადავავლოთ თვალი საქართველოს დამოუკიდებლათ არსებობის მოკლე ისტორიას, რომ უდავოთ ვსცნოთ შემდეგი დებულება: ერთად-ერთი პარტია, რომელსაც მთავრობა დაუზოგავათ სდევნის, არის ჩვენი, კომუნისტური პარტია. არც ერთი სხვა პარტია ან ჯგუფი არავითარ დევნას და შევიწროებას არ განიცდის. ეს ისეთი ეჭვ-შეუტანელი ფაქტია, რომ მას აშკარათ აღიარებს თვით პროფესიონალურ კავშირთა საბჭო თავის მიმართვაში, რომელიც მან გაუგზავნა მეორე ინტერნაციონალს.

საღი მოსაზრება დაჟინებით ღაღადებს, რომ მუშათა მთავრობა მუშების მტერს —ბურჟუაზიას უნდა მტრობდეს და ებრძოდეს. მაშ იქნება ჩვენ ვართ ის ბურჟუაზიული პარტია, რომლის წინააღმდეგ მთავრობის მახვილი ამდენი ხანია ქარქაშში ჩაუგებლათ იღვწის და ელვარებს! ბევრი შეუსაბამობა გვსმენია მენშევიკებიდან, მარა ბურჟუაზიულ პარტიათ ჩვენი გამოცხადება მათ ძალ-ღონესაც კი აღემატება. მაშასადამე, თვით მენშევიკების ცნობით ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს ბურჟუაზიასთან, ხოლო, უეჭველია, საქართველოში მაინც არსებობს ბურჟუაზია, ბურჟუაზიული პარტია და სხვა გაბატონებული კლასები და პარტიები.

რა პოლიტიკას აწარმოებს მათ მიმართ საქართველოს მთავრობა? ჩვენ ვიცით‘ რომ მთავრობის მთელი პოლიტიკით კმაყოფილი არიან ყველა გაბატონებული კლასები და მათ წინააღმდეგ მთავრობას არავითარი რეპრესიები არ სჭირდება.

მაშასადამე, საქართველოს მთავრობა სრულიად უზრუნველყოფილია მქონებელ, გაბატონებულ კლასების მხრიდან, აქედან მას არავითარი საშიშროება არ მოელის. მთელი მისი საომარი იერიში, როგორც ვთქვით, მომართულია ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, რადგან იგი მხოლოთ აქედან ელის საფრთხეს, აქ ხედავს თავის საშიშარ მეტოქეს.

რას წარმოადგენს ჩვენი პარტია, რომელი კლასის ინტერესებს გამოხატავს იგი? ჩვენ ვიწოდებით პროლეტარიატის პარტიათ არა იმ აზრით, თითქოს საქართველოს მთელი პროლეტარიატი ერთი კაცის გამოუკლებლათ ჩვენს პროგრამას იზიარებდეს. არა, ჩვენ ასეთი ვართ ჩვენი მიზნით, ჩვენი ტენდენციით; ჩვენ პროლეტარიატის პარტია ვართ რეალურათაც და უფრო მეტათ პოტენციაში, რაიცა მოკლე ხანში მთლათ უძლეველ რეალობათ უნდა იქცეს, რადგან შეუძლებელია, რომ საქართველოს პროლეტარიატი, რომელიც დღეს წარმოადგენს მხოლოთ კლასს თავისთავათ, მოკლე ხანში არ განიმსჭვალოს იმ მისწრაფებით, რომ გადაიქცეს კლასათ თავისთვის.

და ჩვენ გვდევნის საქართველოს მთავრობა, როგორც პროლეტარიატის პარტიას და ამ საქმეში მას მთელი ძალ-ღონით ეხმარებიან ყველა ბურჟუაზიულ-თავად აზნაურული კლასები, პარტიები და ჯგუფები.

სხვანაირათ, ლოღიკური გზით და არა იეზუიტური წესით, ყოვლად შეუძლებელია დასაბუთება ჩვენი პარტიის ესოდენი დევნა-შევიწროებისა. ასეთი იდეალური შეთანხმება ყველა გაბატონებული კლასებისა ჩვენს წინააღმდეგ თვალწინ გვიყენებს ამ ერთიან რეაქციონურ ბანაკს, რომელსაც კარგათ აქვს შეგნებული თავისი კლასობრივი ინტერესი და რომელიც ენერგიულათ იყენებს ყოველგვარ შესაძლებლობას თავის დასაცავათ.

შეიძლება, ბევრი ფიქრობდა, რომ ჩვენი დევნა შემთხვევითი ხასიათის იყო, რომ ის შეცდომებით და წარმავალი მოვლენებით აიხსნებოდა: ზოგი ამ დევნას უკავშირებდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა-არ-ცნობას, ზოგიც ანტანტის გავლენას და სხ. ასეთი ყალბი აზრის განმტკიცებას ხელს უწყობდა ხხვათა შორის ის გარემოებაც, რომ ეს დევნა, პირველ ხანებში მაინც, არ იყო ერთიან სისტემაში მკაცრად ჩამოყალიბებული. დღეს ამ ილიუზიას ყოველივე ნიადაგი გამოეცალა. საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო საბჭოთა რუსეთმა და ამ ნიადაგზე ემუშაობთ ჩვენ; ანტანტის გავლენა თუ სავსებით არ მოისპო, საგრძნობლად მაინც შესუსტდა მთელ ამიერ-კავკასიაში. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი საწინააღმდეგო რეპრესიები მატულობს და ძლიერდება რაოდენობითაც და თვისებითაც.

მაშასადამე, ჩვენი დევნის მიზეზი ჩამარხულია არა გარეშე ძალდამტანებელ პირობებსა და ფაქტორებში, არამედ თვით მართველ პარტიის შინაგან წყობასა და სტრუქტურაში. მიაღწია რა მან გაბატონებულ მდგომარეობას, მაშინვე ინსტიქტიურად იგრძნო თავისი შეურიგებლობა იმ ტენდენციასთან, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, როგორც პროლეტარიატის პარტია. ის დაეყრდნო მოწინააღმდეგე ტენდენციის მატარებელ კლასებს და ჯგუფებს და მიმართა მთელი თავისი მმუსრავი იარაღი ჩვენს წინააღმდეგ

რაღა დარჩა მუშათა მთავრობიდან? მარტო სახელი. მას მშვენივრათ ურიგდებიან ჩვენი გაბატონებული კლასები და ან რატომ არა? რა აკლდებათ მათ ამით, რაც არ ემატებათ!

საქართველოს კლასობრივ საზოგადოებაში მარტო ჩვენი პარტიაა დევნილი. ეს ცხადათ ამტკიცებს, რომ ის გამოხატავს ამ საზოგადოების ყველაზე დაჩაგრული ნაწილის—პროლეტარიატის ინტერესებს. მენშევიკური პარტია არაპროლეტარული კლასების სამსახურს შეეწირა.

## გ ა კ ვ რ ი თ.

რაც დრო მიდის კომუნისტური ინტერნაციონალი სულ უფრო და უფრო იკრებს თავის ირგვლივ ყველა ქვეყნის რევოლიუციონურ მუშათა მასებს ერთი მიზნით გამსჭვალულთ და ამ მიზნისაკენ ერთი გზით მიმავალთ. ეს პროცესი შეუჩერებლივ სწარმოებს როგორც აღმოსავლეთში ისე დასავლეთში. მთელი რიგი ყოფილ სოციალისტურ პარტიებისა ან უკვე გადმოვიდენ მესამე ინტერნაციონალისაკენ, ან თანდათან იღებენ კომუნისტური პარტიის ტაქტიკურ პლატფორმას, უახლოვდებიან მას, ასე რომ მათი ორგანიზაციულათ დაკავშირება ამ ინტერნაციონალთან ხდება ახლო მომავლის კითხვათ, ახ დაბოლოს ზოგი სოციალისტური პარტიები სცილდებიან ყოველ შემთხვევაში ევრედ წოდებულ მეორე ინტერნაციონალს. რევოლიუციონური მუშების ზეგავლენით კომუნისტური საერთაშორისო ორგანიზაციისკენ იხრებიან ამნაირათ დღეს ისეთი მასიური ევროპის პარტიები, რომლებსაც ამ რამოდენიმე ხნის წინეთ სულ სხვა მისწრაფებანი ასულდგმულებდათ. და ამ გარემოებამ, ბუნებრივია, საგონებელში ჩააგდო ის პუბლიცისტები, რომლებმაც ბოლშევიკები „აღმოსავლეთის ფანატიკოსებათ“ გამოაცხადეს და ჩამორჩენილი ქვეყნები არგუნეს მათ, როგორც მათთვის ბუნებრივ, სამოქმედო სარბიელათ: ბოლშევიზმმა შეიძლება იბოგინოს კიდევ რამოდენიმე ხანს აღმოსავლეთის ყრუ ქვეყნებში, მარა ევროპის მუშათა კლასი კი მას ვერ შეურიგდება—დაახლოებით ასეთი რამეებით ჰკვებავდენ მენშევიკები თავის მკითხველებს და მსმენელებს.

კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე ევროპის ზოგი დიდი სოციალისტური პარტიის წარმომადგენლების დასწრებამ და მათ მიერ კომუნისტებთან წარმოებულ მოლაპარაკებამ ცოტა არ იყოს წყალი შეუყენა მენშევიკების „ისტორიის“ ფილოსოფიას“, აშკარა შეიქნა, რომ ამ ფაქტებმა თავზე გადაახია მათ, მათ მიერვე შეთხზული „თეორია“ ევროპისა და ბოლშევიზმის დაპირისპირების შესახებ.

თავის უხერხულ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ პირველ ხანებში მათ ერთ ხერხს მიმართეს.

როდესაც მათთვის უკვე შეუძლებელი შეიქნა მკითხველებისათვის დაემალათ მეორე ინტერნაციონალიდან გამოსული ევროპის დიდი სოციალისტური პარტიების კომუნისტურ ინტერნაციონალთან მის მეორე კონგრესზე, მოსკოვში, მოლაპარაკების ფაქტი, მენშევიკებმა ერთ ხანს ხელი დააფარეს ამ პარტიების კომუნიზმისაკენ ევოლიუციას და ისე გააშუქეს საკითხი, თითქოს დაახლოება თუ მოხდა ეს ალბათ იმიტომ, რომ ბოლშევიკებმა ხელი აიღეს თავის ძირითად დებულებებზე, რომ „თვით იმ სოციალისტებს კი არ გამოუცვლიათ თავისი მსოფლმხედველობა“—ო, არამედ „მათი მოსკოვში მოსვლა—სწერდა მაგალითად „ერთობა“ მაჩვენებელია, რომ დათმობის და შეთანხმების გზაზე შემდგარა ლენინის შეურიგებელი პარტია“—ო. *)

*) ჩვენმა გაზეთმა მაშინვე ამხილა ეს ტყუილი და რამოდენიმეთ კიდევაც მიაღწია მიზანს. ბ-ნი დევდარიანი იძულებული შეიქნა და ბოლოს აღიარებია მენშევიკების მიერ თავის დროზე სიჩუმით გავლილი ფაქტი გერმანიის დამოუკიდებელი პარტიის (რომელმაც თავის წრიდან გააძევა მემარჯვენეობისათვის მისი ერთი დამაარსებელთაგანი, ჩვენ მიერ რენეგატათ გამოცხადებული კ. კაუცკი) კომუნიზმთან დაახლოების შესახებ. „მართალია ეს პარტია ძალიან შორს წავიდა—გლოვობს ბ-ნი დევდა-

დრო მიდიოდა, ხოლო მოსკოვიდან მენშევიკებისათვის სანუგეშო და მათი პროგნოზის დამადასტურებელი ცნობები არ მოდიოდა. პირიქით აშკარა შეიქნა ერთობელებისათვისაც, რომ კომუნისტები ფეხსაც არ იცვლიან თავის დამოკიდებულებიდან ეგრედ წოდებულ ცენტრის პარტიების მიმართ, რომ ისინი გარკვეულ და კატეგორიულ პირობებს უყენებენ ყველა მესამე ინტერნაციონალში შემავალ პარტიებს. მენშევიკებიც იძულებული შეიქნენ თვითონ გაექარწყლებიათ მათ მიერვე შეთხზული ზღაპარი ბალშევიკების დათმობაზე და შეთანხმებაზე „ცენტრის“ სოციალისტებთან. „უნდა ვაღიაროთო—სწერდა „ბორბა“—რომ ამ ბრძოლაში ბალშევიკები უფრო მაგრათ დგანან თავიანთ პოზიციებზე, ვინემ მათი „მეგობარ-მოწინააღმდეგენი“-ო... კომუნისტებს „აქვთ პროგრამა, მაშინ როდესაც მათ მტერ-მოწინააღმდეგეთ ასეთი პროგრამა არ გააჩნიათ“-ო. ამნაირათ „ბორბელებმა“ მოჰხვიეს ხელი და წყალს მისცეს თავის ერთობელი ამხანაგების მთელი ნაცვოდილარი ბალშევიკების დათმობის შესა ხებ.

---

რიანი—მაგრამ მოსკოვის დიქტატურამდი მაინც არ მისულა, ის არ შეერთებია არც გერმანელ კომუნისტების ჯგუფს“—ო.

მე არ ვიცი სანამდი „მივიდა“ უკანასკნელათ ეს პარტია—ამას იმედია მალე გავიგებთ!—მარა ის კი ფაქტია, ამ დღეებში მოსკოვის რადიოთი გადმოცემული, რომ ადგილობრივ უკვე დაიწყო ამ ორგანიზაციების შეერთება. ასე მოხდა მაგ. ჰამბურგში და რამდენიმეთ ბერლინშიაც. შეიძლება ჯერ-ჯერობით ეს ძალიან ბევრს არ ნიშნავდეს ბ-ნ დევდარიანისთვის, მარა უკეთესი მოლოდინში ამ ცნობასაც ნუ დაგვიწუნებს. „Nicht viel, aber mit danzen Herzen“!..

ამის შემდეგ მკითხველი თავისთავად გამოიყვანს დასკვნას, რომ, თუ კომუნისტური ინტერნაიონალი იკრებს თავისკენ მეორეს წევრებათ ყოფილ ევროპის სოციალისტურ პარტიებს, თუ ეს პარტიები სტოვებენ თავის პოზიციებს და გადადიან თანდათან კომუნიზმისაკენ, როგორც ამას თვით მენშევიკებიც ველარ უარყოფენ, თუ ბალშევიკები „მაგრათ დგანან თავის პოზიციაზე“, თუ დაბოლოს მათ აქვთ პროგრამა, ხოლო მათ მოწინააღმდეგეებს „ასეთი არ გააჩნიათ“, როგორც ამას ისევ თვით მენშევიკებიც აღიარებენ—მაშ ეს არის აშკარა გამარჯვება კომუნისტების და იმავე დროს სასტიკი დამარცხება მენშევიკების მთელი „ფილოსოფიის“ აზიის ფანატიკოსების შესახებ, დამარცხება დადასტურებული თვით „ბარბელების“ მიერ. მარა არა! ეს თურმე პირიქით, მომასწავებელი ყოფილა ბალშევიკების სისუსტის, მათ უღონობის.

მკითხველის ამაზე მეტ აბუჩათ აგდება ძნელი წარმოსადგენია, მარა ეს ძნელი წარმოსადგენი რამ შესაძლებელი ყოფილა მენშევიკების გაზეთებისათვის.

საინტერესოა სანამ შერჩებათ ესოდენი მოთმინება „ერთობა-ბორბის“ მკითხველებს?

კ. კრედო.

---

# ჩვენ უნდა აღვმართოთ იარაღი

(პოლონეთის კომუნისტების მოწოდება)

პოლონურ ყოველ-დღიურ გაზ. „სვიატში“ დაბეჭდილია პოლონეთის კომუნისტურ მუშათა პარტიის ც. კ. მოწოდება, სადაც ნათქვამია: „უკანასკნელათ მაინც შევიგნოთ, რომ უსირცხვილოთ სტყუიან ისინი პოლონეთის დაცვის სახელით, ან-და უკრაინის განსათავისუფლებლათ გვაღვრევინებს სისხლს.

მათ პოლონეთი გადააქციეს აღმოსავლეთ-ევროპაში კაპიტალისტურ კონტრრევოლიუციის ჟანდარმათ.

გავდევნოთ ჩვენგან ის მატყუარა აგიტატორები, რომელთაც ვითომ დაზავი უნდათ, ნამდვილათ კი ხელს უწყობენ იმპერიალისტურ სახელმწიფოს. პოლონელ მშრომელების მტერია არა რუსი და უკრაინელი მუშები, არამედ თვით საკუთარი (პოლონელი) კაპიტალისტები.

არა უკრაინა, არამედ პოლონეთი უნდა გავანთავისუფლოთ ჩვენ ბურჟუაზიულ მთავრობისაგან.

ჩვენ უნდა აღვმართოთ იარაღი მმართველ შაიკის წინააღმდეგ, რომლებიც სუქდებიან ჩვენი სისხლით.

განუწყვეტელ სამხედრო კატასტროფების (დამარცხება) უფსკრულიდან ჩვენ გვიხსნის მხოლოდ პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და მუშათა საბჭოების დაარსება. დაწყებულ ახალ კაპიტალისტურ ომისაგან თავის დასაღწევათ მხოლოდ ერთი გზა არის. ეს არის რევოლიუცია.

დეე, მმართველ ჯალათების ახალმა ავანტიურამ გამოიყვანოს საბრძოლველათ ყველა ჩვენი სოფლის და ქალაქის პროლეტარები!“

---

# ბიბლიოგრაფია.

**ნ. ხომერიკი. აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა. თფილისი, 1920 წ.**

ეს წიგნაკი მიწადმოქმედების მინისტრის და ჯიშიანი მენშევიკის წარმოადგენს მოხსენებას ქართველ სოც.-დემ. პარტიის მეორე ყრილობაზე (ამა წლის ივნისი). წინასიტყვაობაში ბ. ხომერიკი ირწმუნება, რომ თანამედროვე საზოგადოება ძირიანათ უნდა გადაკეთდეს თავის დაღწევა რომ შესძლოს იმ კრიზისიდან, რომელიც გამეფებულია ცხოვრების ყველა დარგში ამ გარდამავალ ხანაში. სოც.-დემოკრატიამ სახელმწიფოს მმართველმა უნდა „აწარმოვოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზნათ ისახავს მომზადოს ნიადაგი მომავალ საზოგადოების დასამყარებლათ“. ასეთი პოლიტიკა რაღა თქმა უნდა იყოს სოციალისტური, მარა ბ. ხომერიკის საკმაოდ ბუნდოვანი განმარტებით ეს ისეთი პოლიტიკაა, რომელიც „უნდა აცდეს როგორც ანარქო-ბალშევიკურ ექსპერიმენტებს, ისე ოპორტუნისტულ გზას“. და აი ასეთი საშუალო, მარა საბოლოო მიზნისაკენ მიმავალ გზების კვლევას ემსახურება ბ. ხომ—ის რწმუნებით მისი მოხსენება.

ის დარწმუნებულია და მკითხველსაც არწმუნებს, რომ „დღეს საქართველოს სოფელში ტარდება უდიდესი სოციალური რეფორმა“, ტარდება რასაკვირველია „რევოლიუციონური დროის კანონმდებლობით“. მარა საკმარისია გადაფურცლოთ წიგნაკის ათიოდე ფურცელი, რომ აგრარული რევოლიუციის მინისტრის მაგიერ თქვენ დაინახოთ „უწყების“ ტიპიური მოხელე, თუმცა მაღალ ხარისხოვანი და სოც.-დემოკრატის იარლიკით, მარა მაინც მოხელე, რომელსაც სავსებით უიმედო საქმე უკისრნია: ამიერ-კავკასიის სეიმის მიერ მიღებული მიწის კანონის რევოლიუციის აქტად გასაღება, მუსავატელების და დაშნაკელების „ერთხმად“ მიღებული დეკრეტი, რომელიც მისაღები იყო შემდეგ ჩვენში შემოჭრილ გერმანელების გენერლებისთვისაც კი (თითონ ბ. ხომერიკისაგან ვიცით, რომ ქართვ. მენშევიკებმა ვერ გაბედეს მათი შიშით სეიმის კანონში ცვლილების შეტანა, როცა მას საქ. პარლამენტს უდგენდენ, თუმცა არც უნდოდათ, მემამულეები რომ გაეღიზიანებიათ)—ასეთი კანონი რევოლიუციის მირონცხებულათ გამოცხადება, თვით საფრანგეთის დიდ რევოლიუციის აქტთან მისი დადარება და-ასე გასინჯეთ—უპირატესობის მიკუთნებაც კი!

ჩვენ ვიცით, რომ ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონს და ურჩევნია ყველას, და ჩვენ რა ხელი გვაქვს ბ. ხომერიკის პირად თუ პარტიულ ბედნიერების და აღფრთოვანებულ სიხარულის განცდასთან, თუ კი მას შეუძლია ცას ეწიოს ასეთი თავბრუ დამხვევ რევოლიუციონურ კანონმდებლობის გამო, რომლის შედეგი მისივე სიტყვით იქნება ის, რომ „საფონდო მიწებიდან გლეხის ოჯახი საშვალოთ მიიღებს არა ნაკლებ ერთი დესეტინისა“ (გვ. 15). რევოლიუციის თითქმის მეოთხე წლის თავზე—რა უდიდესი და უბრწყინვალესი მონაპოვარი ჩაუბარებია გლეხს; დაპირება, რომ ის მიიღებს ერთ დესეტინას, მიიღებს რასაკვირველია ფულად, რაც ბ. ხო—კს ყურადღების ღირსადაც არ მიაჩნია. ამ ალაბით რომ გავზომოთ ჩვენებური რევოლიუცია—და უნდა გავზომოთ კი, ვინაიდან მიწის საკითხის რევოლიუციურათ გადაჭრა რევოლიუციის ხერხემალი და ღერძი იყო ჩვენში და რუსეთშიც—უნდა ვთქვათ, რომ ის მხოლოდ 1861 წლის რეფორმის ახალ გამოცემის მომასწავებელია. და, რაღა თქმა უნდა ამ საშინელ „რევოლიუციონურ“ რეფორმას, ბ. ხომ—ის მოწმობითვე ვერ აფასებდენ და ამიტომ გულგრილათ უყურებდენ“... თვით გლეხები. მაგრამ ასეთ გულგრილობას ისინი წინეთ იჩენდენ, ახლა კი მიწის დარიგების გარშემო გაჩაღებული ყოფილა შეხლა შემოხლა და უკმაყოფილება „როგორც კერძო პირთა შორის, ისე სოფლებსა დ თემებს შორის“.

ხშირად უმნიშვნელო ნაჭერი მიწა დიდ დავას იწვევს და რეფორმის გამტარებელ ორგანოებს დიდი ენერგიის დახარჯვა სჭირდებათ... რომ უმტკივნეულოდ და უინციდენტოთ გადასჭრან სადაო საკითხები“. (გვ. 20). ბ. ხომერიკი მეტად კმაყოფილია ამით. ალბად „საბოლოო მიზნის“ განხორციელების მომასწავებლად მიაჩნია ეს წვრილი მე-

---

გ. ზინოვიევი.

# პარტია და პროფესიონალური კავშირები.

(ჟურ. „კომ. ინტერნაციონალის“ № 9).

**თეზისები პარტიისა და საწარმოვო კავშირების სამეურნეო, ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მიზან-დანიშნულების შესახებ დღევანდელ ხანაში *).**

## 1. რა არის პროფესიონალური კავშირი?

პარტიისა და პროფესიონალური კავშირების ურთიერთ შორის დამოკიდებულება რომ სისწორით გავიგოთ, საჭიროა პირველ ყოვლისა „პროფესიონალური კავშირის“ ცნების მკვეთრი განმარტება.

რევოლიუციონური მარქსიზმის თვალსაზრისით პროფესიონალური კავშირი სრულიადაც არ წარმოადგენს მხოლოთ მუშების შეერთებას „სამუშაო ქირის დაცვის და მომატების მიზნით“ (განმარტება მეუღლეთა ვებბების) ან და მუშათა საზოგადოებას, „რომლის მიზანია უმუშევრობის დროს თავის წევრების დახმარება და მათი ინტერესების დაცვა დაქირავების ხელშეკრულობის დადების დროს“ (ბრენტანის და ზომბარტის განმარტება). მასთან ერთათ ბალშევიზმი არც მეორე ინტერნაციონალის ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმულას ეთანხმებოდა, რომლის განმარტებით პროფესიონალური კავშირები არიან დაქირავებული მუშების „ხანგრძლივი შეერთება შრომის პირობების გასაუმჯობესებლათ და კაპიტალიზმის ფარგლებში მათი დაქვეითების წინააღმდეგ საბრძოლველათ. (ავსტრიის პროფესიონალური კავშირების ბელადის ადოლფ ბრაუნის განმარტება, რომელსაც მხარს უჭერდა ლეგინი და რამოდენიმეთ ბებელიც კი). 1913 წელს მენშევიკებთან პოლემიკაში ბალშევიზმა შემდეგ ნაირათ განმარტა ცნება პროფესიონალური კავშირების შესახებ: „პროფესიონალური კავშირი არის ამა თუ იმ წარმოების (და არა ამა თუ იმ პროფესიის) მუშების ხანგრძლივი შეერთება პირველ ყოვლისა ეკონომიური ბრძოლის სახელმძღვანელოთ და პროლეტარიატის პარტიასთან ერთათ მუდმივ მონაწილეობის მისაღებათ მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლაში დაქირავებული მონობის მოსასპობლათ და სოციალიზმის გასამარჯვებლათ“. (იხ. მაშინდელ „პრავდაში“ დაბეჭდილი ჩვენი წერილები, რომლებიც კრებული „მუშათა პარტია და პროფესიონალური კავშირები“ გამოიცა 1918 წელს პეტროგრადის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს მიერ).

ამ ფორმულას დღეს უნდა მივსცეთ ფართო ახსნა.

1913 წლის შემდეგ რუსეთში უდიდესი ცვლილებები მოხდა. ძალა-უფლება გადავიდა მუშათა ხელში. მოხდა ბურჟუაზიის ქონების ექსპროპრიაცია.

ამასთან ერთათ თავის თავად შეიცვალა რუსეთში პროფესიონალური კავშირების მიზან-დანიშნულება. „ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელმაც ძალა-უფლება გამოსტაცა ხელიდან ბურჟუაზიას და მუშებსა და ღარიბეს გლეხკაცობას გადასცა, შეჰქმნა სრულიად ახალი პირობები საერთოთ ყველა მუშათა ორგანიზაციების და მათ შორის პროფესიონალური კავშირების მოღვაწეობისათვის“-ო. ასე ამბობს 1919 წლის დამდეგში მომხდარი პროფესიონალურ კავშირების პირველი სრულიად რუსეთის სიეზდის რეზოლიუცია.

პირველ ყოვლისა პროფესიონალურ კავშირებს აღარ ესაჭიროებათ დღეს, უყურონ თავის თავს, როგორც მუშათა დამცველებს მათ მიერ თავის სამუშაო ძალის გაყიდვის საქმეში. ძველი სამუშაო ძალის მყიდველები აღარ არსებობენ. საშუალო და წვრილი მწარმოებლის, მოიჯარადრის და სხვა გვარ ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებს არა მარტო პროფესიონალური კავშირი, არამედ მთელი საბჭოთა სახელმწიფოებრივი აპარატი. რუსეთის დღევანდელი ვითარების გამო პროფესიონალურ კავშირებს არ ესაჭიროებათ აგროვონ გაფიცვებისათვის თანხები, აწარმოვონ ეკონომიური გაფიცვები და სხვ.

მაშ რაში მდგომარეობს რუსეთში პროფესიონალური კავშირების დღევანდელი მომენტის ნამდვილი ამოცანა?

„პროფესიონალური კავშირების მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადატანილ იქმნას საორგანიზაციო-სამეურნეო სფეროში“ ო,—ასე ამბობს პროფესიონალური კავშირების პირველი სრულიად რუსეთის ყრილობის იგივე რეზოლიუცია, რომელსაც ჩვენ ვიცავდით ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით.

კითხვაზე იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს დღევანდელ მომენტში პროფესიონალური კავშირი რუსეთში, ჩვენ უნდა მივსცეთ შემდეგი პასუხი:

„დღევანდელი ხანის საწარმოვო კავშირი რუსეთში წარმოადგენს ამა თუ იმ წარმოების ყველა მუშების შეერთებას, რომელიც არის პროლეტარიატის დიქტატურის ერთი უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციულ-სამეურნეო ბაზათაგანი“.

ისახავს რა თავის მიზნათ საზოგადოების კომუნისტურათ შეცვლისა და კლასთა მოსპობისათვის პროლეტარიატის ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას—კომუნისტური პარტიის მეთაურობით—თანამედროვე საწარმოვო კავშირს სიმძიმის ცენტრი გადააქვს ორგანიზაციულ სამეურნეო სფეროში. 1) ყოველმხრივი მონაწილეობის მიღება სოვნარხოზების სექციების და სხ. საშვალებით წარმოების მოწყობაში კომუნისტურ საფუძველზე, 2) იგივე მონაწილეობა ომისა და მთელი თანამედროვე კრიზისის მიერ დანგრეული ქვეყნის საწარმოვო ძალების აღდგენაში, 3) მუშათა ძალის აღრიცხვა და განაწილება მთელი ქვეყნის სივრცეზე, 4) მონაწილეობის მიღება გამნაწილებელი ორგანოების საშვალებით ქალაქსა და სოფელ შორის გაცვლა-გამოცვლის მოწყობაში, 5) იგივე მონაწილეობა საყოველთაო შრომის ბეგარის განხორციელებაში. 6) დახმარების გაწევა სახელმწიფოს სასურსათო ორგანოებისათვის, სასურსათო კომიტეტებისა და მომხმარებელი კომუნებისათვის, 7) იგივე დახმარება ტრანსპორტის, სათბობი მასალის და სხ. კრიზისის გადაჭრის საქმეში, 8) ყოველმხრივი დახმარება პროლეტარული წითელი არმიის აღმშენებლობაში. 9) სრული, უკანდაუხევლი და თავგანწირული დახმარება შრომის არმიისათვის, 10) შრომის დაცვისათვის ზრუნვასთან ერთათ (შრომის კოდექსის თანახმათ)—ბრძოლა ეგოისტურ, ვიწრო ჯგუფურ მიდრეკილებების წინააღმდეგ მშრომელთა იმ ნაწილში, რომელიც, თავისი ჩამორჩენილობის გამო, პროლეტარულ სახელმწიფოს უყურებს კიდევ, როგორც ჩვეულებრივ მწარმოებელს. აი ასეთი უნდა იყოს დაახლოებით ჩვენი კავშირების ფუნქციები.

როგორც სოციალიზმის პრაქტიკული სკოლები პროლეტარებისა და ნახევრათ პროლეტარებისათვის, საწარმოვო კავშირები თანდათან ხდებიან სახელმწიფო ძალა-უფლების საერთო მექანიზმის ერთ შემადგენელ ნაწილათ, მუშური სახელმწიფოებრივობის ერთ-ერთ ორგანოთ და ექვემდებარებიან საბჭოებს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიულათ შექმნილ ფორმას.

პარტიამ უნდა გაუწიოს უსასტიკესი წინააღმდეგობა ყოველგვარ ცდას, მიმართულს საწარმოვო კავშირების მნიშვნელობის დასამცირებლათ ან და, როგორც უკვე გამოსადეგარი ორგანიზაციების, მათ მოსასპობათ.

ჩვენმა პროგრამამ სამართლიანათ აღნიშნა, რომ „განსაზოგადოებრივებული მრეწველობის ორგანიზაციული აპარატი უნდა ეყრდნობოდნეს პირველ ყოვლისა პროფესიონალურ კავშირებსო“. ქვევით პროგრამაში ნაჩვენებია, რომ ამ ამოცანის შესასრულებლათ „პროფესიონალური კავშირები უნდა განთავისუფლდნენ ცეხური სივიწროვესაგან“. აქეთკენ უნდა იყოს მიმართული პარტიის ყურადღება; მხოლოთ კავშირებში შეუჩერებელი, დაუღალავი აღმზრდელობითი მუშაობით, პარტია შეაძლებინებს მათ თავი დააღწიონ ცეხურ სივიწროვეს და მოძრაობის სხვა უარყოფით მხარეებს.

## 2. ორგანიზაცია პროფესიის თუ წარმოების მიხედვით.

უკვე რევოლიუციის წინა ხანაში საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში იბრძოდა ორი მიმართულება: მუშათა კავშირების შესაქმნელათ 1) პროფესიების და 2) წარმოების მიხედვით. პირველს იცავდენ ოპორტიუნისტები, მეორეს რევოლიუციონური მარქსისტები.

საწარმოვო კავშირები უფრო გამოსადეგია პროლეტარიატისათვის კაპიტალიზმის არსებობის დროსაც, რადგან ისინი წარმოადგენენ დიდ უპირატესობას მუშებისათვის გაფიცვით ბრძოლაში: საწარმოვო მუშათა კავშირს ხელთ უპყრია არა მარტო ერთი პროფესია, არამედ მთელი წარმოება და თუ ის თავს უყრის ამა თუ იმ წარმოების დარგის მუშების უმთავრეს ჯგუფს, ასეთი კავშირი უკეთესათ მოახერხებს გააჩეროს მთელი წარმოება და აიძულოს დათმობაზე კაპიტალისტი და კაპიტალისტური სახელმწიფო.

მარა კავშირების წარმოებისდამიხედვით მოწყობას რევოლიუციონური მარქსისტები იმიტომ იცავდენ კიდევ, რომ ეს კავშირები ამ ფორმაში ყველაზე უკეთესათ მოემზადებოდენ მათი მომავალი როლისათვის, წარმოების კომუნისტური საფუძველზე მოსაწყობათ. საწარმოვო კავშირი თვალყურს ადევნებს საქმის მიმდინარეობას მთელ წარმოებაში, რასაც ხელს უშლის პროფესიებათ დაქუცმაცებული კავშირები.

როდესაც ლითონზე მომუშავეთა კავშირში ჩვენ შემოგვყავს აგრეთვე ლითონის წარმოებაში ჩაბმული ხელზე მომუშავე, ამით ჩვენ ხელს ვუწყობთ როგორც ერთს, ისე მეორესაც, თავი დააღწიონ ცეხურ სივიწროვეს, ამით ჩვენ ვასწავლით მათ შეჰხედონ საქმეს საერთოთ აღებული სახელმწიფოებრივი მეურნეობის ინტერესების თვალსაზრისით და ჩვენ ვასუსტებთ ფაბრიკაში შრომის განაწილების უარყოფითი გავლენას.

საბჭოთა რუსეთში, სადაც მეურნეობის გადასვლა კომუნისტურ საფუძველზე უკვე სწარმოებს მთელი სისწრაფით, განსაკუთრებით საჭიროა კავშირების დაარსება წარმოების და მიხედვით. სწორეთ ეს პრინციპია მიღებული რუსული პროფესიონალური კავშირების მიერ. ხოლო საჭიროა მისი თანდათანობით ბოლომდე მიყვანა. ამ ჟამათ ჩვენი კავშირები შესდგებიან 34 სრულიად რუსეთის მასშტაბში შეერთებულ პროფესიონალურ კრებულისაგან.

სადღეისო მიზანს შეადგენს ჩვენი პროფესიონალურ მოძრაობის ორგანიზაციული ინტეგრაცია. საჭიროა მათი დაყოფა მინიმალურათ შემცირდეს, დაახლოებით ოც უმთავრეს სრულიად რუსეთის კავშირამდე.

მასთან ერთათ საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ შევცვალოთ სახელწოდებაც: ჩვენ კავშირებს უნდა ერქვასთ არა პროფესიონალური, არამედ საწარმოვო კავშირები („პროფკავშირების“ მაგიერ „საწარკავშირები“).

(გაგრძელება იქნება).

*) იგულისხმება საბჭოთა რუსეთის დღევანდელ პირობებში. თარგმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრის ფანატიკოსთა ქინის გამწვავება, „კერძო პირთა და თემებს შორის“ შეხლა-შემოხლა ორიოდე გოჯა მიწის გარშემო. ალბად ასეთივე ჭეშმარიტ სოციალისტურ პროგრამის გამომხატველია ბ. ხომ-რიკის უწყების გადასახლების დაჩა სახლების“ პოლიტიკა, რომლის შესახებ სოციალ დემოკრატი ისეთ „თეზისებს“ აწვდის სოც. დემ. პარტიის ყრილობას, რომ ნიკოლოზის მინისტრი კრივოშეინი და სხვა გადამსახლებელი ბობოლა ბიუროკრატები შუბლზე ხელს დაიკრავენ და ბოლმით სავსე სიტყვებით მიმართავენ თავის თავს: რა მუდრეგები ვყოფილვართ, რომ ასეთი სოციალ-დემოკრატები არ გავამინისტრეთ, როცა რუსეთის ბატონ-პატრონობა ჩვენ ხელთ იყოვო! ბ. ხომერიკი შორს მჭვრეტელ თვალს შემოავლებს რესპუბლიკის საზღვრებს და იტყვის: „დაწყებული მეხადირიდან რესპუბლიკა რკალივით გარშემორტყმულია ან უცხო ტომის ხალხით, ან კიდევ ისეთებით, რომელნიც შეგნებით ქართველი არ არიან“...

ხომ ნამდვილი სოციალისტის გულიდან ამოხეთქილი სიტყვებია! მარა მოუსმინეთ კიდევ ჩვენს კრივოშეინს: „არა ერთი და ორი ფრონტი გაგვიჩნდა სწორედ იმიტომ, რომ ჩვენს ბჭეებს არა საიმედო (სრულ ანალოგისათვის ბ. ხომ—იკს უნდა ეთქვა: არა კეთილსაიმედო! ნ. გ.) ხალხი ედგა... და აი, გადასახლების პოლიტიკა საშვალებას გვაძლევს ეს მდგომარეობა ცოტათი მაინც გამოვასწოროთ და სახელმწიფოს საზღვარზე დარაჯი დავაყენოთ...“ (გვ. 23). აქ მართალია „მოქმედების მთელი პროგრამაა“, მარა პროგრამა ქართველ კაზაკობის შექმნის, ყოველ შემთხვევაში პირწმინდათ რუსეთის ბიუროკრატების გადასახლების პოლიტიკის აღდგენის და გატარების ჩვენს დემოკრატიულ ოაზისში. „უცხო ტომის ხალხი“, „არა ქართველი შეგნებით“, „არა საიმედო ხალხი“—წინეთ, ბიუროკრატიულ რუსეთში ასეთი ლექსიკონის ლექვა და ცოხნა მენშიკოვების და გურლანდების საქმეს შეადგენდა, მეფის მინისტრებს ეხამუშებოდათ ასეთი პროგრამით საჯაროთ გამოსვლა, ახლა კი გურლიანდ—მენშიკოვების „თელილი გზა სოციალიზმის მომამზადებელ გზათ არის გამოცხადებული ჩვენში და ამიტომ „არც გვრცხვენია და არც გვეშინია“ სოციალ-დემოკრატიულ სიეზდზე იმის ქადაგება, რასაც სტოლიპინი თუმცა აკეთებდა, მარა მასზე ლაპარაკი რცხვენოდა.

მაგრამ ერთი კითხეთ ბ. მინისტრს: ფრონტები—და ძალიან მაგარი და ხანგრძლივი—გამართული იყო სამეგრელოში, ლეჩხუმში და დუშეთის მაზრაში, ნუ თუ აქაც „არა ქართველები“ ცხოვრობენ? და თუ არა ქართველობა აქ მოსატანი არ არის, განა ძნელი გასაგები უნდა აყოს, თუნდა ყოფილ მარქსისტისათვის, რომ ფრონტები იმართებოდა სწორედ იმ გლეხების მიერ, რომელნიც არ იყვენ კმაყოფილი ბ. ხომერიკის და მისი პარტიის მიწის კანონით და საერთო პოლიტიკით—ე, ი. იბრძოდენ არა „ინოროდცები“, არამედ რევოლიუციური სტიქია მოტყუილებულ გლეხების მიუხედავათ გვარტომობისა და ეროვნებისა.

ნ. გ.

(დასასრული ხვალ).

### დასავლეთ ფრონტის წითელ გმირებისაგან.

წითელი არმიის №№ ნაწილები, რომელნიც შეუჩერებლად მიერეკება პოლონელ თეთრ-გვარდიელებს, მოგიძღვნით სალამს. „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ახლო მომავალში რ. ს. ფ. ს. რ. წითელი არმია პოლონეთის მუშებთან და ულარიბეს გლეხებთან ერთად მოუპოვებს გამარჯვებას მესამე ინტერნაციონალს პოლონეთშიც და ამ უკანასკნელსაც ჩარიცხავს საბჭოთა რესპუბლიკების საერთო ოჯახში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც შესდგება საერთაშორისო წითელი არმია, რომლის ძალებით მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალი საბოლოვოთ დაამარცხებს მსოფლიო კაპიტალს.

### ინტერნაციონალურ ბატალიონისაგან.

ინტერნაციონალური ბატალიონი, რომელიც შესდგება წითელ არმიელ მადიარებისა, გერმანელებისა, უკრაინელებისა, პოლონელებისა, რუსებისა და სხვა ეროვნებათაგან, უძღვნის სალამს სესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს. დეე, კომუნისტურ ინტერნაციონალმა გვიჩვენოს ჩვენ გზა მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებისაკენ მიმავალი.

### კონგრესის პირველი სხდომა.

#### ს. რ. ც. ა. კ. თავმჯდომარის ამხ. კალინინის სიტყვა.

სიტყვა ეძლევა ამხ. კალინინს, რომელსაც კონგრესი მქუხარე ტაშის-კვრით ხვდება.

საბჭოთა რუსეთის მუშების და გლეხების სახელით, ამბობს ამხ. კალინინი' მივესალმები მე'ამე ინტერნაციონალის მეორე მსოფლიო კონგრესს.

ჩვენი კომუნისტური პარტია, განაგრძობს ის, არ ჩაფლულა პარლამენტარულ ბრძოლაში. მას უხდებოდა ბრძოლა მეფის მთავრობასთან და „კერენშჩინასთან“ ძლიერ მძიმე პირობებში. მაგრამ პარტიას არასოდეს არ დაუკარგავს იმედი. უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ჩვენ მოგვიხდა ბევრი მხვერპლის გაღება. ჩვენ მთელი ჩვენი ენერგია შემოვიკრიბეთ მშრომელთა კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. ჩვენ ავიტანეთ სამოქალაქო ომის მთელი სიმძიმე: სიმშილობა, ბლოკადა და სხვა. ამ ძნელ ბრძოლაში საბჭოთა რუსეთი გამოიბრძმედა.

ამ ბრძოლამ საშუალება მოგვცა ჩვენ შეგვედგინა სახელოვანი, ძლევა მოსილი წითელი არმია, რომელიც სასწაულებს ახდენს ბრძოლის ველზე თეთრ პოლონეთის წინაალმდეგ.

ეხლა რუსეთის მუშაობისა და გლეხებისათვის ცხადია, რომ ჩვენ ვიბრძვით არა მარტო რუსეთის ბურჟუაზიისა და მეფის მემამულეების წინაალმდეგ. ეხლა მუშები და გლეხები დარწმუნებული არიან, რომ რუსეთის ბურჟუაზიის ზურგს უკან სდგას მთელი ქვეყნის ბურჟუაზია, რომელიც გვისევს ჩვენ ხან ერთს და ხან მეორე მტერს. აი რისთვის იცქირებიან რუსეთის მუშები დასავლეთისკენ. მათ იციან, რომ მსოფლიო პროლეტარიატი მათ მხარეზეა. ამხ. კალინინი ათავებს თავის სიტყვას და უსურვებს კონგრესს, რომ ის შეიქნეს უშუამავლო ბრძოლის დასაწყისი აღმოსავლეთის და დასავლეთის ხალხების მსოფლიო პროლეტარიატის განთავისუფლებლათ. შემდეგ კონგრესი გადადის დღიურ წესრიგზე.

ამხ. ზინოვიევი აცხადებს, რომ დღიურ წესრიგში არის მესამე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედების ანგარიშები და მეორე კითხვა პარტიის ანგარიშები.

ორივე ეს მოხსენებები დაურიგდა დელეგატებს და მის განხილვაზე შეჩერება ეხლა არ არის საჭირო. კონგრესი გადადის მესამე კითხვაზე: ამხ. ლენინის მოხსენება: საერთაშორისო მდგომარეობა და კომუნისტური ინტერნაციონალის დანიშნულებები.

ბაქოს კომუნისტი.

№ 78 3 აგვისტო 1920 წ.

ლა საერთაშორისო კომუნისტური პარტია. „პრავდა“ იუწყება ამას და ამბობს: „ეს პარტია ერთ პროგრამის გარშემო აერთებს მთელი ქვეყნის ათეულ მილიონ მშრომელებს. პროგრამა თვით კონგრესმა გამოიმუშავა.

პროლეტარიატმა შექმნა თავისი საომარი შტაბი, რკინის დისციპლინით, ნათელი და ისტორიულათ სწორი პროგრამით და შეუდრეკელი რევოლიუციონური ტაქტიკით.

### სამხ.-ოპერატ. რადიო-ცნობა.

**მოსკოვი,** 11 აგვისტო. ნოვო-გეორგიევის მიმართულებით ჩვენ მკაცრი ბრძოლებით მივაღწიეთ 10 ვერსის მოშორებით მაკოვის აღმოსავლეთ პუნქტებს.

ბუგის ორივე ნაპირებზე, ჩვენმა ჯარმა გადალახა მტრის წინაალმდეგობა და განაგრძობს შეტევას დასავლეთით. ბუგის დასავლეთით 18—20 ვერსზე ჩვენმა ჯარმა დაიკავა მთელი რიგი პუნქტების.

9 აგვისტოს ჩვენ ბრძოლით დავიკავეთ ქალაქი ბელა. გრძელდება ბრძოლა ქალაქ (?) ვლოდავის ასაღებათ.

ხოლმის რაიონში ჩვენ გადავლახეთ მდინარე ბუგი და ბრძოლას ვაწარმოებთ რკინის გზასთან ამ მდინარის დასავლეთ ნაპირზე.

ბროდის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ გავდევნეთ პოლონელები დაბა რაძეხუვისკენ.

მდინარე სერეტზე, მთელ ფრონტზე გრძელდება ბრძოლები ჩვენი ჯარის სასარგებლოთ.

## ინტერნაციონალის გარშემო.

### კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის გახსნა.

(დასასრული იხ. კომ. № 14.)

ამხ. ზინოვიევის სიტყვა გერმანულათ გადათარგმნა ამხ. რადეკმა—ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ამხ. ბალაბანოვის ქალმა. შემდეგ არჩეულ იქნა კონგრესის პრეზიდიუმის წევრები. აღმასრულებელ კომიტეტის სახელით ამხ. ბუხარინი წინადადებას იძლევა აირჩიონ შემდეგი პირები: ლევი, (გერმანია), ლენინი და ზინოვიევი (რუსეთი), დოსმერი (საფრანგეთი), შერი (იტალია), ეს წინადადება ერთხმათ იქნა მიღებული. ამის შემდეგ ამხ. ზინოვიევი ამცნობს კონგრესს, რომ ბევრ ორგანიზაციებს სურთ მიესალმონ კონგრესს. დროს უქონლობის გამო შეიძლება მისასალმებელი სიტყვა მივსცეთ მხოლოდ რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელს. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით კონგრესს მიესალმა ს. რ. ც. ა. კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. კალინინი. კონგ. ამხ. კალინინს ოვაციებს უმართავს.

შემდეგ კონგრესი შეუდგა დღიურ წეს-რიგის განხილვას.

პირველი კითხვა არის მე 3 ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება.

მეორე კითხვა—პარტიის ანგარიშები. ეს ანგარიშები დაბეჭდილი დაურიგდა კონგრესის ყველა მონაწილეთ.)

მესამე კითხვა—საერთაშორისო მდგომარეობა და კომუნისტური ინტერნაციონალის დანიშნულებები.

კონგრესი მქუხარე აპლოდისმენტებით მიეგა პროლეტარიატის საყვარელ წინამძღოლს ამხ. ლენინს, რომელიც გამოვიდა მომხსენებლათ ამ კითხვაზე. შემდეგ გამოვიდნენ შემდეგი წარმომადგენლები: საფრანგეთის კომუნისტებისაგან—ამხ. დოსმერი და იტალიის კომუნისტებისაგან—ამხ. სერრატი, აგრეთვე ინგლისის პროლეტარიატის წარმომადგენელი—ამხ. სტეინერი, პოლონეთის კომუნისტებისაგან კი ამხ. მარსლევსკი. კონგრესმა დაადგინა მიესალმოს: წითელი პიტერის (პეტროგრადის) პროლეტარიატს, წითელ არმიას და მთელი ქვეყნის მუშებს. სხდომის დასრულების შემდეგ კონგრესის მონაწილენი გაემართენ მარსის მინდორზე, რომ გვირგვინებით შეამკონ სოციალურ რევოლიუციისათვის მებრძოლ ამხანაგების საძმო სასაფლაო. ეს პროცესია საუცხოვო, გრანდიოზულ სანახაობას წარმოადგენდა. გზაში პროცესიას უერთდებოდა რაიონული ორგანიზაციები და კოლექტივები დროშებით და პლაკატებით. პროცესია არ დაშლილა საღამომდის. დღე დასრულდა კოლოსალურ მიტინგით ამხ. ურიცკის მოედანზე. მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს კონგრესის მონაწილეებმა.

### მ ი ს ა ლ მ ე ბ ა ნ ი.

#### თურქესტანის კონფერენციის რ. კ. პ. ნემეცური სექციებისაგან.

თურქესტანის საოლქო კონფერენცია უძღვნის ძმურ სალამს მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესს. გთხოვთ გადასცეთ გერმანიის და ავსტრიის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებს, რომ ჩვენ მთელი აქ ყოფნის დროს მოვანდომებთ იმას, რომ თავისი თავი ჩ ყოფილი სამხედრო ტყვეები მოვამზადოთ მომავალ გადამწყვეტ ბრძოლისათვის და რომ ყოფილ სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნებისას ისინი (გერმ. და ავსტრ. კომ. წარმომად.) დაინახავენ ჩვენში ცეცხლში გამობრძმედილ მებრძოლებს მუშათა კლასის კაპიტალიზმის ულლისაგან გასანთავისუფლებლათ.

#### სამხრეთ-სლავიის მუშებისაგან.

ქ. ტაშკენტში მცხოვრები 300 სამხრეთ-სლავიის მუშები და გლეხები მხურვალეთ მივესალმებით მესამე ინტერნაციონალს, რომლის დროშის ქვეშ იკრიბება მთელი ქვეყნის პროლეტარიატი.

#### ანჟერო-სუდჟის რაიონის მთა-მადნების მუშებისაგან.

ამ რაიონის მუშები, რომელნიც 16 სხვა და სხვა ეროვნებებს ეკუთვნიან, თავისი საბჭოთა დეპუტატების სახელით მხურვალე სალამს უძღვნიან მესამე კომ. ინტერნაციონალს.

---

მისალმება არის აგრეთვე გომელის „ბუნდის“ მეორე კონფერენციისაგან.

#### ირანის (სპარსეთის) კომ. პარტიის 1 სიეზდისაგან.

ირანის კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის 1 სიეზდი, რომელიც შეიკრიბა სპარსეთში ქ. ენზელში, მიესალმება მესამე კომ. ინტერნ. მეორე კონგრესს.

აღმოსავლეთის კარები გაღებულია რევოლიუციონური შეტევისათვის, რომ განდევნილი იქნენ მსოფლიო მტაცებლები. ჩვენ, სპარსეთის კომუნისტები, ფიცსა ვსდებთ, რომ მანამდის არ დავდებთ იარაღს, სანამ არ იქნება გარეკილი მსოფლიო მძარცველები და სანამდის წითელი დროშა არ აფრიალდება მთელ დატანჯულ აღმოსავლეთში.

„გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს! გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა ძმობას და ერთობას!“

## ბიულეტენი პრესბიუროსი

### რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

### საბჭოთა ადერბეიჯანში.

#### სასოფლო-სამეურნეო კომუნები.

**ბაქო,** 3 აგვისტო. ადერბეიჯანის ყველა მაზრებში სასოფლო-სამეურნეო კომუნები აწარმოებენ ენერგიულ მუშაობას. უკვე არსებობს კომუნები ჩუხურიურტში, გიურალიდეში, პოდტუბეკლში, ბიმბაშიხში და სავაგან.

აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კომუნები დაარსდა მუღანში, ალექსეევკაში, სვეტლოვო-ნეზოვოში, ნოვო-ვასილიევკაში, მუღანის შრომის საზოგადოება. გეოქჩაის მაზრაში დაარსდა 9 სასოფლო-სამეურნეო კომუნება.

#### ზანგეზურში.

**ბაქო,** 5 აგვისტო. ზანგეზურში წითელი არმიის შესვლის შემდეგ, ბრუნდებიან გადახვეწილი მცხოვრებლები. სომეხ-მუსულმან გლეხების შორის დამოკიდებულება კარგია.

#### მეაბრეშუმეობის გასაუმჯობესებლათ.

**ბაქო,** 10 აგვისტო. ადერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო საბჭო ღებულობს ყოველივე ზომებს მეაბრეშუმეობის გასაფართოებლათ.

#### პროფ. კავშირების სიეზდი.

**ბაქო,** 10 აგვისტო. 25 აგვისტოს ბაქოში მოწვეული იქნება ადერბეიჯანის პროფესიონალურ კავშირების სიეზდი.

### საზღვარ გარეთ

#### გ ა ფ ი ც ვ ა.

**მოსკოვი,** 5 აგვისტო. ორი იტალიური გაზეთის მუშების და თანამშრომლების მთელ შემადგენლობამ გაფიცვა გამოაცხადა.

იტალიის ჟურნალისტების მხრივ ეს პირველი რევოლიუციონური გამოსვლაა.

#### რუსეთი და ინგლისი.

**მოსკოვი,** 9 აგვისტო. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ პარასკევს 6 აგვისტოს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები შეპირდენ ინგლისის მთავრობას, რომ ისინი შეატყობინებენ თავის მთავრობას და უკანასკნელ გადაჭრილ პასუხს მიიღებენ კვირამდის ე. ი. იმ დრომდის, სანამდის ინგლის-საფრანგეთის კონფერენცია დაიწყებოდეს ბულონში ან ფოლკსტინეში.

„პტი-პარიზიენის“ ცნობით ლოიდ-ჯორჯი დიდხანს ეთათბირა კამენევს, რომელსაც სთხოვა დაემოწმებია, რომ წითელი არმია არ შევა ვარშავში, ბრიტანიის მთავრობა თანახმაა საბჭოთა მთავრობის წინადადებაზე, მაგრამ მილიერანთან შეხვედრამდის ის ვერავითარ გარკვეულ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს.

#### გ ე რ მ ა ნ ი ა.

**ნაუენი,** 8 აგვისტო. საფრანგეთს სურს ისარგებლოს ბავარიის სისუსტით. ის მოითხოვს, რომ მან ნება დართოს პოლონეთისთვის იარაღის და სამხედრო მოწყობილების მის ტერიტორიაზე გატარების. სამაგიეროთ საფრანგეთი პირდება, რომ ის არ განიაიარაღებს ადგილობრივ მილიციას.

ეს მოთხოვა ისეთი კატეგორიულია, რომ ბავარიის მთავრობის თავმჯდომარე იძულებული შეიქნა ბერლინში წასულიყო ცენტრალურ მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ. ფრანგები იმუქრებიან რურის ბასეინის დაკავებით, თუ გერმანია ხელს არ აიღებს თავის ნეიტრალობაზე და არ გაატარებს მის ტერიტორიაზე პოლონეთისთვის სამხედრო მასალას.

## ახალი ამბები

**კომუნისტების გადასახლება.** გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განუცხადა მეტეხში მოთავსებულ 10 ქართველ ამხანაგებს, რომ მათ ასახლებენ ქ. ბაქოში. ჯერჯერობით არც ბრალდებას უცხადებენ და არც ანთავისუფლებენ. დაწვრილებით მის შესხებ ცნობა ხვალ გვექნება მოთავსებული.

## უკანასკნელი ცნობები

### საერთაშორისო კომუნისტური პარტია.

**მოსკოვი,** 9 აგვისტო. მე-3 ინტერნაციონალის მე-2 კონგრესზე დაარსებუ-

## დეპეშები

### თბილისის პრესბიუროს ცნობა.

#### „ჟურნალ დედება“ რუსეთ-პოლონეთის შესახებ.

**პარიზი,** ივლისის 27. „ჟურნალი დედება“ პოლონეთის მოკავშირეებსა და ბალშევიკურ რუსეთს უძღვნის ვრცელ წერილს. მოკავშირეებიო,—სწერს ავტორი, ახლა იმკიან რუსეთის საკითხში დაშვებულს თავის შეცდომების ნაყოფსო. მოკავშირეებს არ ქონდათ გარკვეული პოლიტიკა და ერთი მათი პოლიტიკური მოქმედება მეორეს ეწინაალმდეგებოდა. უნდა ითქვას ისიც, რომ მოკავშირეებმა ყოველთვის არ იცოდენ რა სურდათ მათ. ეს შეცდომები ჩვენ ძვირათ დაგვიჯდება. საფრანგეთს ამ ხანებში გარკვეული და სწორი ხაზი ქონდა. უნდა მიღებულ იქმნას მხედველობაში, რომ თუ პოლონეთის განადგურება არ შესწყდა, ევროპის მშვიდობიანობას ეს საფრთხეს დაუმზადებსო.

#### აზერბაიჯანისა და სომხეთის შეთანხმება.

**თბილისი,** აგვ. 10. დღის 12 საათიდან სომხებსა და ს. ფ. რ. ს. რ. ჯარებს შორის შესწყდა სამხედრო მოქმედებანი, რუსეთის საბჭოთა ჯარები იკავებს სომხეთისა და აზერბაიჯანის შორის სადაო ტერიტორიებს, გარდა იმ ტერიტორიისა, რომელიც შეთანხმების ძალით სომხეთის რესპუბლიკის ჯარებმა უნდა დაიკავოს. სომხეთის რკინის გზის სამმართველოს ეძლევა საშუალება შახტახტა-ჯულფის რკ. გზის ექსპლოატაციისა. ამგვარად სომხეთი დაუყოვნებლივ დაუკავშირდება სპარსეთს რკინის გზით.

---

### დაწვრილებითი ცნობები სპარსეთში სახელმწიფო გადატრიალების შესახებ.

ასი კაცისაგან შემდგარი ჯინგილიტების ატრიადმა 31 ივლისს ღამით მიიღო ბრძანება დაეკავებია რეშთის ყველა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებები. ეს ბრძანება დილის 4 საათამდის იქნა შესრულებული. პირველათ, წინაალმდეგობის გაუწევლათ დაკავებულ იქნა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს სახლი.

ოქტომბრის რევოლიუციაში მონაწილეობა მიღებული ძველი რუსი ჯარისკაცები განცვიფრებაში მოდიოდენ იმით, თუ როგორი დისციპლინით, სიჩქარით და წესრიგით ასრულებდენ მათზე დავალებულ საქმეს სპარსელი რევოლიუციონური ჯარისკაცები. დილით ქალაქს ჩვეულებრივი სახე ქონდა. ამავე დღეს

რევოლიუციონური სპარსელი ჯარები დაედევნა მირზა კუჩუკის ატრიადს. წითელ ჯარებს ნაბრძანები ქონდა ეხმარა ყოველივე მშვიდობიანი საშუალებით, რათა თავის მხარეზე გადმოეყვანა კუჩუკის ატრიადი.

ეს ღირსშესანიშნავათ შეასრულეს. რეშთიდგან 6 ვერსის მოშორებით ჯინგილიელებს (კუჩუკ-ხანის ატრიადი) შემოარტყეს ალყა. მათ იარაღი დაყარეს და გადმოვიდნენ ჩვენს მხარეზე. ატრიადის მეორე ნაწილმა დააპირა წინაღმდეგობის გაწევა და დაიწყო სროლა ზარბაზნებიდან, მაგრამ პატარა ხნის ბრძოლის შემდეგ ისინი თავზარდაცემული გაიქცნენ ფოუმენის მიმართულებით. პასიხარაში ჩვენ ჩავიგდეთ ტყვეები და დავიჭირეთ კუჩუკ-ხანის მთავარი თანამშრომლები.

მიღებულია ცნობები ფოუმენიას აღების შესახებ, ყველა ჯინგილიელი კაზაკები დანებდა რევოლიუციონურ ჯარებს. მირზა კუჩუკი ერთი ცხენოსანის თანხლებით გაიქცა მთებში.

—

ბაქო, 5 აგვისტო. ირანის დროებით რევოლიუციონურ კომიტეტმა შემდეგი დეკლარაციით მიმართა სპარსეთის ხალხს: „რუსეთის წითელ არმიის გამარჯვებამ დენიკინის ბანდებზე და ინგლისელებზე ქ. ენზელში შესძლება მისცა სპარსეთის რევოლიუციონურ ხალხს გაერეკა ინგლისელები გილიანიდან.

მირზა კუჩუკ-ხანს და მის მთავრობას მინდობილი ქონდა ეხელმძღვანელა შემდეგი რევოლიუციონურ ბრძოლაში ინგლისელების და შახის გამყიდველ მთავრობის წინააღმდეგ, რათა განთავისუფლებულიყო მთელი ირანი.

მაგრამ, გავიდა უკვე ორითვე და ფრონტი უმოძრაოთ იდგა. სპარსეთის ხალხის დიდი უმრავლესობა იტანჯება ინგლისის მოძალადეებისა და შახის მტაცებლების უღლის ქვეშ. ეს ხალხი შესცქერის თავისუფალ ირანს და მისგან ელის შველას. მაგრამ კუჩუკ-ხანმა არ შეადგინა ირანის წითელი არმია ინგლისის წინააღმდეგ საბრძოლველათ და თეირანის გასანთავისუფლებლათ შახის უღლისაგან. მას ეხლა უფრო ცოტა რიცხოვანი ჯარი ყავს ვიდრე ორი თვის წინათ ყავდა. იმ დროს, როდესაც ფრონტზე მკაცრი ბრძოლები სწარმოებს კუჩუკ ხანი არამც თუ არ ხელმძღვანელობს ამ ბრძოლებს, არამედ ორი კვირაა რაც ფოუმენში წავიდა და მთავრობა კი უმეთაუროთ დასტოვა. იმის მაგიერ, რომ ისარგებლოს საბჭოთა რუსეთისა და ადერბეიჯანის დახმარებით, რომ დააჩქაროს რევოლიუციის გამარჯვება ინგლისელებზე, განდევნოს ისინი და გაანთავისუფლოს მთელი ირანი—კუჩუკ-ხანი და მისი დანაშნული მთავრობის წევრები რუსეთის და ადერბეიჯანის კომუნისტებისაგან გამოგზავნილ ვინტოვკებს, პატრონებს და ზარბაზნებს ინახავენ ტყეებში. კუჩუკ-ხანმა მცხოვრებლებისაგან შეკრიბა ბევრი ფული, რომელიც არა ღირსეული ხალხმა ჩაიგდო ხელში, ან გაიტანეს სადმე. ჯარს ფული ეჭირვება. მთავრობის დაწესებულებების მოსამსახურენი ჯამაგირს ვერ ღებულობენ და სტოვებენ სამსახურის ადგილს.

ფრონტი შეჩერებულია. გმირი არმია უპატრონოთ არის, ზურგში გახრწნა და ანარქიაა. არ არის ავტორიტეტული მთავრობა, ყველა ამას დაემატა კუჩუკ-ხანის და მის ახლობელ თანამშრომლების ფოუმენში წასვლა, რომლის შემდეგ გილიანი უმთავრობოთ დარჩა.

მდგომარეობა ძლიერ საშიშია ირანის ხალხის თავისუფლებისათვის. ეს მდგომარეობა ხელსაყრელია მხოლოდ ინგლისელ მტაცებლებისთვის. რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს და დავიხსნათ რევოლიუცია დაღუპვისაგან, შესდგა ირანის დროებით რევოლიუციონური კომიტეტი, რომელიც ნდობით აღჭურვილი იქნება ირანის რევოლიუციონურ ხალხისაგან. რევოლიუციონური კომიტეტი მაგარი ხელით დაამყარებს წესრიგს, შეადგენს ირანის საკუთარ წითელ არმიას, დააჩქარებს ინგლისელების გარეკის საქმეს, ჩამოაგდებს შახის მთავრობას. ის დააჩქარებს ირანის მშრომელ ხალხის განთავისუფლებას მტანჯველების და პარაზიტების ძალმომრეობისაგან: დროებით რევკომის წევრები: ეხსანნულა, ბეხრამ, აგაევი, ხალი კურბანი, ალიხანოვი, ჯაფაროვი, ქ. ა. ზადე და ჯ. ზ. რიზა.

# პარტიული ცხოვრება.

### თბილისის პირველ რაიონულ საბჭოს სხდომა.

პირველ რაიონულ საბჭოს სხდომაზე, რომელიც შესდგა 2 აგვისტოს, მოსმენილ იქნა თბილისის კომიტეტის მოხსენება ორგანიზაციულ კითხვებზე. დღიურ წეს-რიგში იყო აგრეთვე კითხვა: ამხ. მუშების გაგზავნა საბჭოთა რუსეთში თეორეტიულ და პრაქტიკულ საკითხების შესასწავლათ. სხდომამ ამ კითხვის შესახებ დაადგინა: ვინაიდან ეს დიდ ხარჯებს მოითხოვს და აგრეთვე ამ მიზნის განხორციელებას ხელს შეუშლის ამხ. ქართველ მუშების რუსულ ენის უცოდინარობა, ამიტომ რუსეთში გაგზავნის მაგიერ სხდომამ გამოიტანა დადგენილება: ადგილობრივ დაარსდეს პარტიული შკოლა, სადაც იმეცადინებენ საქ. კომ. პარტიის წევრი მუშები. ამ კითხვის გადაწყვეტის შემდეგ არჩეულ იქნა სარევიზიო კომისია.

პარტიულ დისციპლინის შესახებ დადგენილ იქნა დაევალოს მდივანს, პროპაგანდისტებს და რაიონულ საბჭოს წევრებს აასრულონ თავიანთ დავალებები.

იაჩეკის წევრები დაყოფილ იქნან ჯგუფებათ, სადაც რუსულ ქართულ ენაზე მოხსენებებს გააკეთებენ პროპაგანდისტები.

### ლითონზე მომუშავეთა თბილისის კავშირის ფრაქციის სხდომა.

შესდგა ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის ფრაქციის სხდომა, რომელზედაც ამხ. კ. მოხსენება გააკეთა მომუშავეთა განახლებულ კავშირის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი წინადადებას იძლევა შეუერთდენ განახლებულ კავშირს და შეადგინონ ლითონზე მომუშავეთა ერთი ძლიერი პროფესიონალური კავშირი.

შემდეგ მოხდა არჩევნები ფრაქციის ბიუროში. ბიუროში არჩეულ იქნენ ამხანაგები: მ. ბ. და ტ., კანდიდატებათ ს. დას.

### თბილისის კომიტეტთან არსებულ ქალთა სექციის სხდომა.

28 ივლისს შესდგა თანკანთან (თბილისის კომიტეტთან) არსებულ ქალთა სექციის სხდომა. დაესწრენ სხდომას წარმომადგენლები: მეორე რაიონიდან, კომუნისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაციიდან და მესამე და მეოთხე რაიონებიდან. მუშაობის წარმოების შესახებ დადგენილ იქნა: ქალების საერთო პოლიტიკურ რევოლიუციონურ მუშაობაში ჩასაბმელათ: 1) მოეწყოს ქალთა აუდიტორიისთვის ლექციები და მოხსენებები საერთო-პოლიტიკურ ხასიათის კითხვებზე და აგრეთვე იმ კითხვების შესახებაც, რომლებიც პირდაპირ ქალებს შეეხება; 2) რაიონების წარმომადგენლებმა მოაწყონ მუშაობა ქალთა იაჩეიკებში პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით.

ორგანიზაციულ კითხვების შესახებ დადგენილ იქნა: მოაწყონ ქალთა იაჩეიკები ყველა რაიონებში; კულტურულ განმანათლებელი მუშაობა აწარმოვონ ორი მიმართულებით: 1) მოაწყონ ჯგუფები წერა-კითხვის შესასწავლად და კულტურულად განსავითარებლად; 2) მისცენ ქალებს არა მარტო საერთო თეორეტიული, არამედ პოლიტიკური განვითარებაც.

სხდომაზე დამსწრე ყველა წარმომადგენლებს ევალებათ წარმოადგინონ ყველა რაიონებიდან პარტიულ ქალთა რიცხვის სიები, აღწერონ მათი სოციალური, ოჯახური და კულტურული მდგომარეობა და წარმოუდგინონ სექციას.

ქალთა სექციის ბიუროს თვითეულ წევრს ევალებათ გააკეთოს მოხსენება რიგრიგობით განსაზღვრულ თემაზე. პრესის შესახებ დადგენილ იქნა ეთხოვოს ცენტრალურ კომიტეტს, რათა დაუთმოს ქალთა სექციას ადგილი გაზეთში, სადაც მოთავსებული იქნება წერილები ქალთა საკითხების შესახებ და მასალები და ცნობები, რომლებიც გააშუქებენ ქალთა მოძრაობას და ქალთა ცხოვრებას, როგორც ჩვენში, ისე საზღვარ-გარეთაც.

დასახულ კულტურულ განმანათლებელ მიზნების ცხოვრებაში განსახორციელებლად დადგენილ იქნა წინადადება მიეცეს თბილისის კომიტეტის ბიუროს მიიღოს თბილისის კომიტეტის კულტურულ-განმანათლებელ კომისიაში წარმომადგენელი ქალთა სექციის ბიუროდანაც.

სექციის შემდეგი სხდომა დანიშნულია შაბათისთვის.

# მუშათა ცხოვრება.

## ჩვენში.

### თბილისის სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა შორის.

თბილისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა ყველა მოსამსახურეები ძალიან უკმაყოფილონი არიან და პროტესტს აცხადებენ თავიანთი ხაზეინების წინააღმდეგ, რომლებიც არ თანხმდებიან მისცენ მოსამსახურებს ერთდროული დახმარება, თანახმად თბილისის სატარიფო პალატის დადგენილებისა ამის შესახებ აუარებელი განცხადებები შემოდის კავშირის გამგეობაში.

### არ ცნობენ მუშათა კომიტეტს.

სამხედრო შკოლის მუშების განცხადების გამო იმის შესახებ, რომ შკოლის ადმინისტრაცია არ სცნობს მუშათა კომიტეტს, ლითონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობამ დაადგინა გააცნოს ადმინისტრაციას არსებული კანონ-დებულება ამ საკითხის შესახებ და ეთხოვოს შრომის კომისარს, რომ მან აგრეთვე თავისი მხრითაც გავლენა მოახდინოს დასახელებულ შკოლის ადმინისტრაციაზე და განუმარტოს მას არსებული კანონი შრომის დაცვის შესახებ.

### ქუთაისის პროფესიონალური კავშირების მდგომარეობა და მათი უფლებები.

ჩემი უმთავრესი მიზანია დავახასიათო წერილში თუ როგორ იმყოფება ქუთაისის პროფესიონალური კავშირები, მენშევიკების ბატონობის ქვეშ აქვთ მათ უფლება მონაწილეობა მიიღონ ეკონომიური უფლებების გაუმჯობესებაში თუ არა. პოლიტიკურზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი არის, ამაზე კრინტსაც არ დაგაძრევინებენ. თუ გაგიწყრა ღმერთი და ხმა ამოიღე მაშინვე, ქუთათური მენშევიკები ჩაგინიშნავენ შავ წიგნში და შემდეგ ერთს მშვენიერ დღეს წაისობენ ხელს და გიკრავენ თავს სადაც ჯერ არს.

ასეთი დაშინებისა გამო მუშები იძულებული არიან კრინტიც არ დაძრან არაფერზე პოლიტიკურ უფლებებს (რა გაეწყობა, მენშევიკები მგლებს უშობენ სათარეშოთ და ცხვრებს კი აბამენ. მუშებს კი ბურთს ჩრიან პირში ამ დროს სპეკულიანტებს ხელ-ფეხი აქვთ გახსნილი, რომ თავისუფლათ ყვლეფონ მუშებს.) ოღონ ეკონომიური მოთხოვნილებების უფლებები მოეცათ. მარა ესეც წართვეს დღეს პროფესიონალურ კავშირებს. პროფესიონალური კავშირები ახლა წარმოადგენენ უბრალო დაწესებულებებს რომლებსაც არაფერი უფლებები არ აქვს.

რამდენი შემთხვევები და რამდენი მაგალითები არის ქუთაისელ „სოციალისტების“ (ე. ი. მენშევიკების) მოქმედების შესახებ. თუ როგორ იცავენ მუშათა კლასს ვაჭარ-ჩარჩი-მდიდრისგან გაყვლეფისაგან, და როგორ ასრულებენ თავიანთ „სოციალ-დემოკრატიული“ პროგრამას. ქუთაისში არის რამოდენიმე პროფესიონალური კავშირები; არცერთი მათგანი თავისი წევრების მიხედვით დიდს არაფერს წარმოადგენენ. იყო ერთი დრო, როდესაც მთელი კავშირები მენშევიკებზე ლოცულობდა, და მენშევიკებიც მაშინ თავიანთ თავს კარგათ გრძნობდენ, მარა დაუდგათ შავი დღეები და გაუმწარდათ სიცოცხლე: გუშინდელმა მათმა ამხანაგებმა დღეს ზურგი შეაქციეს. მუშების ასეთი უკმაყოფილება გამოიწვია, მენშევიკების მიერ ერთგულათ ინტერესების დაცვაში გამყვლეფელების წინააღმდეგ. უკმაყოფილება დიდია მენშევიკების წინააღმდეგ, მარა ოფიციალურათ გამოსვლის ეშინიათ. როგორც ზევით ვამბობდი, თუ ვინმემ წინააღმდეგობა გაუწია ან გამოეკამათა მაშინვე ციხით ემუქრებიან. ასეთ პირობებში მუშები დაშინებული არიან და ხმასაც არ იღებენ. მუშებში გულცივობა გამეფდა კავშირების მიმართ და მას ყურადღებასაც არ აქცევენ, ისე უყურებენ კავშირებს, როგორც უბრალო დაწესებულებებს გულცივობა გამოიხატება იმაში, რომ ოთხჯერ და ხუთჯერ, რომ მოიწვიო კრება მაინც ნახევარი არ დაესწრება. რომ კითხო მაგალითათ, რისთვის არ ესწრებით კრებასო, ისენი გიპასუხებენ, თქმით ვერაფერს ვერ ვიტყვით. რომ გლახა იქნეს მაინც უნდა დაადასტურონ, თვარა შენს დღესა. არჩევნებზედაც რომ მიდგება რიგი, აუცილებლათ იმ ხალხს უნდა მიცეთ ხმა, რომელსაც ისინი დაასახელებენო. დასახელებული ხალხი საქმის კაცები იქნებიან თუ არა ამას არ დაგიდევენო.

ი. დ—ნი

(შემდეგი იქნება)

—:—

## საზღვარ-გარედ

### ი ნ გ ლ ი ს შ ი.

**მოსკოვი**, 3 აგვისტო. ინგლისის მთავრობამ უარი უთხრა ნახშირის მაღაროს მუშებს სამუშაო ქირის მომატებაზე, რის გამო დღე-დღეზე ელიან საყოველთაო გაფიცვას.

### უმუშევრები იაპონიაში-

იაპონიაში ქ. ოსიაკოში სამრეწველო კრიზისის გამო დახურულია 100 ფაბრიკა. 50 ათასი მუშა ქუჩაშია გამოყრილი.

# პროტესტი

### ფ ო თ ი.

მეოთხე დღეა ფოთის ციხეში ჩვენი რვა ამხანაგი სიმშილით გაფიცული არიან. გაზეთებიდან ვტყობილობთ, რომ გაფიცული ყოფილან ჩვენი ამხანაგები აგრეთვე ქუთაისის, თბილისის და სხვა ციხეებში. სიმშილობენ ამხანაგები მხოლოდ იმიტომ, რომ ეღირსონ გასამართლებას. ზიზღს და პროტესტს აცხადებს ფოთის კომიტეტი ასეთი უხეში ძალმომრეობის წინააღმდეგ.

ამას ჰქვია „დემოკრატიზმი“?!

**ფოთის კომიტეტი საქ. კომუნის. პარტიისა.**

—

### ს ე ნ ა კ ი.

გაზ. „ახალი კომუნისტის“ № 8 მოთავსებულ ჩვენი ამხანაგების ქუთაისის საგ. თბილისის მეტეხის ციხეების პატიმართა წერილებისა გამო სენაკის დრ. სამაზრო კომიტეტმა იქონია მსჯელობა და დაადგინა: გამოაცხადოს სასტიკი პროტესტი ჩვენი ამხანაგების იმ ზომამდის მიყვანის გამო, რომ ისინი უბრალო მოქალაქობრივი უფლების აღსადგენად იძულებული არიან მიმართონ ისეთ საშუალებას, როგორიცაა სიმშილობა და ეს ხდება ეგრედ-წოდებულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მოვითხოვთ ჩვენი ამხანაგების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. მით უმეტეს, რომ მთავრობამ ჩვენზე უკეთ იცის მათი უდანაშაულობა!

**ს. კ. პარ. სენაკის დრ. სამაზრ. კომიტეტი.**

1920 წ. 5 აგვის.

—

### ხიდისთავი (გურია).

ხიდისთავის რაიონულ კოლექტივის შემადგენლობამ, უკანასკნელ თავის სხდომაზე, იმსჯელა ჩვენი ამხანაგების შიმშილობის შესახებ, რომლებიც გაზეთების ცნობით, თითქმის რესპუბლიკის ყველა ციხეებში სიმშილობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ეღირსონ ბრალდების წამოყენება და გასამართლებას. მთელი კრება და ჩვენთან ერთად მთელი ხიდისთავის საზოგადოება სასტიკ პროტესტს აცხადებს მენშევიკების ასეთ უხეშ პოლიტიკის წინააღმდეგ.

**ხიდისთ. რაიონული კოლექტივი.**

დრ. რედაქტორი:
დიმიტრი ჯორბენაძე.

ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ო!

წაიკითხეთ და გაავრცელეთ ახალი ბროშურები:

1. ნ. ლენინი და ზინოვიევი. „ინტერნაციონალი მომაკვდავი და ინტერნაციონალი ამომავალი.
2. მ. კასპიელი. „ვინ სტყუის?“ (ბ. ს. დევდარიანის მკითხველების საყურადღებოთ).

# უ წ ყ ე ბ ა ნ ი:

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

### ამხანაგების საყურადღებოთ!

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსთაველის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

### მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო

დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ბერძენოვის ქუჩაზე 135. სადაც პლეხანოვის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამობით 5—7 ნახ. საათამდე.

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა მოთავსებულია კალისტე ებრალიძის შენობაში (მუშათა უბანში), აქვე მოთავსებულია დროებით გურიის კომიტეტი საქართველოს ახალგაზდათა კომუნისტური პარტიისა.

**რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმი.**

საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურო დროებით მოთავსებულია ნოვო-ბებუთოვის ქ. № 11 (Ново Бебутовская ул. № 11) მდივანი იღებს 11—1 ს.

# განცხადება

ამით ვაცნობებთ ქ. ბათუმის და ბათუმის ოლქის ყველა პარტიულ ამხანაგებს, მუშებს და გლეხებს, რომ 1 აგვისტოდან გაიხსნა ქ. ბათუმში საქართველოს კომუნისტურ პარტიის ბათუმის ბიურო, სადაც მოხდება ამხანაგების რეგისტრაცია და ახალი წევრების ჩაწერა პარტიაში.

ბიურო მოთავსებულია ერისთავის ქ. № 4, კილფის საკინწავი სახელოსნო. გაღებულია დილის 9 საათიდან—12 საათამდე და საღ. 5 საათ.—8 საათამ.

**საქართ, კომუნისტური პარტიის ბათუმის კომიტეტი.**

# ორგანიზაციების საყურადღებოთ!

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საწყობში არის შემდეგი გამოცემები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიკითხონ კომიტეტის სადგომში—ტფილისი, პასკევიჩის ქ. № 3.

1) საგუბერნიო თათბირი ქ. ტფილისში და დადგენილება მიწის შესახებ.
2. კომუნისტური პარტიის მანიფესტი.
3. საბჭოთა რესპუბლიკა.
4. კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა.
5. ვლ. როზანოვი—იმპერიალიზმი.
6. კავკასიის მშრომელ მასსას.
7. მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი.
8. ლენინის მოხსენება და სიტყვა მე-3 საბჭოთა ყრილობაზე.
9. ნ. ლენინი—სახელმწიფო და რევოლიუცია.
10. კობა (სტალინ) ჯუღაშვილი—დიალექტიური მატერიალიზმი.
11. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—კომუნისტური მანიფესტი.
12. ნ. ბუხარინი —პროგრამა კომუნისტებისა (ბოლშევიკების).
13. პარტიული წესდება.

სტამბა „ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. № 3.